09.12.2015

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2015 წლის III კვარტალი

(წინასწარი)

წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2015 წლის III კვარტალში 489 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2014 წლის III კვარტალის დაზუსტებულ მონაცემებზე 33 პროცენტით ნაკლებია, ხოლო მიმდინარე წლის II კვარტალის წინასწარ მონაცემებს 38 პროცენტით აღემატება. 2015 წლის სამი კვარტალის განმავლობაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მოცულობამ 1019 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლთან შედარებით 17 პროცენტით ნაკლებია.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას 2013-2015 წლების დინამიკაში.

დიაგრამა №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2015 წწ.
(მლნ. აშშ დოლარი)



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილში №1 მოცემულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვარტალური დინამიკა 2006-2015 წლებში.

ცხრილი №1.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (ათასი აშშ დოლარი)

წელი	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.	**სულ**
2006	146,012	306,907	280,748	456,708	**1,190,375**
2007	421,370	401,452	489,112	702,908	**2,014,842**
2008	537,674	605,357	134,709	286,222	**1,563,962**
2009	113,974	177,229	173,223	193,974	**658,401**
2010	166,544	208,298	225,558	214,097	**814,497**
2011	209,720	248,335	316,595	342,594	**1,117,244**
2012	261,194	217,671	199,000	233,699	**911,564**
2013	252,316	207,893	254,825	226,868	**941,903**
2014	309,463	196,245	725,993	526,722	**1,758,423**
2015*	175,283	354,749	489,007	...	**1,019,039**

ცხრილი №2 ასახავს საინვესტიციო ნაკადების კვარტალურ დინამიკას 2013-2015 წლებში. წინასწარი მონაცემებით, 2015 წლის III კვარტალში საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემომავალმა ნაკადებმა 650 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ცხრილი №2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2013-2015 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014				2015*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**309**	**196**	**726**	**527**	**175**	**355**	**489**
მათ შორის:											
შემომავალი ნაკადები	443	618	621	551	520	584	1016	753	444	530	650
ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება	-191	-410	-366	-324	-210	-388	-290	-226	-269	-175	-161

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის III კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები ასე განაწილდა (ცხრილი №3):

ცხრილი №3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2015 წლის III კვარტალის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014				2015*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**309**	**196**	**726**	**527**	**175**	**355**	**489**
მათ შორის:											
აზერბაიჯანი	42	16	-13	37	64	78	110	89	59	160	173
ნიდერლანდები	36	30	38	48	87	98	99	90	22	68	55
თურქეთი	-4	36	17	-7	25	20	21	-4	27	41	43
გაერთიანებული სამეფო	19	-21	28	29	33	-14	24	64	12	32	41
ჩინეთი	13	75	2	-1	4	18	152	44	1	7	40
ლუქსემბურგი	2	117	11	12	16	54	17	23	12	20	31
აშშ	16	18	22	-11	14	3	146	18	19	-5	14
ჩეხეთი	22	18	-1	5	9	12	19	13	1	-5	13
რუსეთი	2	-3	-11	14	21	22	17	22	23	6	9
დანარჩენი ქვეყნები	103	-78	160	101	35	-95	120	169	0	31	70

*წინასწარი მონაცემები.

2015 წლის III კვარტალში უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას გვიჩვენებს სექტორული დიაგრამა №2, რომლის მიხედვით პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება 35 პროცენტით, მეორეზე - ნიდერლანდები 11 პროცენტით, ხოლო მესამეზე - თურქეთი 9 პროცენტით.

დიაგრამა №2.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2015* წლის III კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში 2015 წლის III კვარტალის მიხედვით მოცემულია ცხრილში №4:

ცხრილი №4. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2013-2015 წწ. (მლნ. აშშ დოლარი)

	2013				2014				2015*		
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III
სულ	**252**	**208**	**255**	**227**	**309**	**196**	**726**	**527**	**175**	**355**	**489**
მათ შორის:											
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	36	28	51	26	82	113	133	107	146	207	218
საფინანსო სექტორი	64	15	49	38	92	-129	41	112	-4	41	73
მშენებლობა	5	49	-3	-0	-1	31	183	104	24	25	63
დამამუშავებელი მრეწველობა	16	28	13	43	58	58	55	35	5	30	33
უძრავი ქონება	-12	13	32	10	4	5	164	-35	-10	20	22
ენერგეტიკა	52	71	74	48	23	79	51	37	11	9	22
სამთომოპოვებითი მრეწველობა	16	8	8	11	6	12	8	17	18	1	13
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	1	2	4	5	-2	9	4	2	2	7	12
სასტუმროები და რესტორნები	0	-16	2	1	15	18	63	29	17	18	10
დანარჩენი სექტორები	75	10	26	46	33	1	25	120	-33	-3	24

*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2015 წლის III კვარტალში 72 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორში განხორციელდა და 218 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 45 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება საფინანსო სექტორი 73 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - მშენებლობა 63 მლნ. აშშ დოლარით.

ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015 წლის III კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება მოცემულია დიაგრამაში №3:

დიაგრამა №3.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2015* წლის III კვარტალში



*წინასწარი მონაცემები.

წყარო:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ“);
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

გამოყენებული პირობითი აღნიშვნები:

0 მაჩვენებლის სიდიდე უმნიშვნელოა;
... მონაცემები არ არსებობს.

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

2015 წლის დაზუსტებული მონაცემები გამოქვეყნდება 2016 წლის 15 აგვისტოს.